ამერიკის ჯანდაცვის რეფორმები

ქეთევან გიუნაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევან გიუნაშვილი

2015 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: 2008-2012 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელდა ჯანდაცვის სისტემის რეფორმა. ეს რეფორმა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და საჭიროა მათი გამოცდილების გაზიარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებისთვის. კვლევის მიზანია აშშ-ში მიმდინარე მიმდინარე რეფორმების შესწავლა. ნაშრომში განიხილება მოცემულ პერიოდში აშშ-ის ჯანდაცვის სისტემაში მიღებული მნიშვნელოვანი კანონები, ასევე ამერიკის ჯანდაცვის სისტემის ევოლუცია, და ფედერალური სააგენტოების როლი მის განვითარებაში და რეფორმირებაში. **მეთოდოლოგია:** კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია აშშ-ის ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა. **შედეგები, ინტერპრეტაცია, დისკუსია:** ბოლო ორი ათწლეულია მოსახლეობის უმრავლესობა ჯანდაცვის სისტემის რეფორმის გატარების აუცილებლობას აღიარებს. ამერიკელების უკმაყოფილება უმეტესად გამოწვეული იყო სამედიცინო მომსახურების მაღალი ფასებით, დაუზღვეველთა რაოდენობის ზრდით. ობამას რეფორმა მიმართულია ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზაციაზე და გულისხმობს სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას აშშ-ში. **დასკვნა, რეკომენდაციები:** აშშ-ში განხორციელებული ჯანდაცვის სისტემის რეფორმამ დიდი ცვლილებები განიცადა. იგი მსოფლიოში პირველ ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ჯანდაცვის ხარჯებით, თუმცა ჯერ კიდევ დაუზღვეველია 50 მილიონამდე პირი. რეფორმის განხორციელების საწყის ეტაპზე გაიზარდა სახელმწიფოს ხარჯი ჯანდაცვაზე, რამაც მოახდინა სხვადასხვა მომსახურებაზე ფასების ზრდა. შესაბამისად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ჯანდაცვა გაძვირდა. მიუხედავად რეფორმის გატარებისა ზემოთ აღნიშნული პრობლემები კვლავ აქტუალურია აშშ-სთვის და იგი საჭიროებს რეფორმირებას, ახალი მექანიზმების ჩართვას, რომლების უზრუნველყოფენ სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის მოდერნიზაციას.